



MES 6 22 0000867358



02/08/2022

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;

გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;

მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამარ რატიანიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა მეტრეველი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი
ქეთევან ედიბერიძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატი
სოფიო კვინიკაძე - დაწესებულების წარმომადგენელი
მინდია მაცაბერიძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე
მარიამ ქუთათელაძე - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს NK
ნუგზარ ყენია - სკოლის დირექტორი
თათია ზარქუა - სკოლის იურისტი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლა
ეკა კოპალეიშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი

შპს სასწავლო ცენტრი მერმისი
ლალი აბაშიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი
ნანა მონიავა
მაკა ნადარეიშვილი

შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატი
ნოდარ ანგურიძე
ელენე კალანდაძე

შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნე
ლიანა კობესაშვილი
მარინე ჯანაშვილი

შპს NK

თამარ მიდელაშვილი
თეონა ყაჭეიშვილი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედის მართლმადიდებლური სკოლა

ვერა ყურულაშვილი
ლია გრიგოლია

შპს სასწავლო ცენტრი მერმისი

თეა გაბელაია
ლია გრიგოლია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2022 წლის 21 ივლისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს NK-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს სასწავლო ცენტრი მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და მაკა ნადარეიშვილმა. ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ სკოლაში თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო იყო. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა რეკრეაციული ზონით მოწყობილი ეზო. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 400 მოსწავლეზე, ვიზიტის დროს კი სკოლაში ირიცხებოდა 321 მოსწავლე.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა დაწესებულების მიერ არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების არსებობა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სამივე საფეხურზე. ექსპერტის განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მრავალფეროვანი, საინტერესო კომპლექსური და შემაჯამებელი დავალებები.

ექსპერტ, ნანა მონიავას თქმით, დაწესებულება თანამშრომლობდა არაერთ სკოლასთან, რომელთაგანაც ერთ-ერთი იყო ლიეტუვას ქალაქ ტაურაგეს სკოლა-ვერსმე.

ექსპერტის თქმით, სკოლის 40%-ზე მეტს წამყვანი სტატუსის მქონე მასწავლებლები შეადგენდნენ. მისი განმარტებით, კათედრები აქტიურად თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან, პედაგოგებს ჰქონდათ თითოეული შემაჯამებელი დავალების ანალიზი გაკეთებული, ანალიზის შედეგად კი ჰქონდათ განმავითარებელი რეკომენდაციები გაცემული მოსწავლეებისთვის.

ექსპერტ, ნანა მონიავას განმარტებით, სკოლას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არ ჰქონდა შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული წესი შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის თქმით, სკოლა საჭიროებისამებრ აღჭურვილი იყო კამერებით.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ სკოლის მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კეთილგანწყობილი გარემო იყო. ექსპერტმა, აქვე დასძინა, რომ სკოლაში წარმატებით ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხდებოდა მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინება ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მხრიდან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, როგორ მიმდინარეობდა დაწესებულების მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის შეთანხმების პროცესი. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან ედიბერიძემ, განმარტა, რომ აღნიშნული წესი დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა 2019 წლიდან, თუმცა არ ჰქონდათ შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაცია გაითვალისწინა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გააგზავნა განაცხადი წესის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, რამდენად უწყობდა ხელს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტები მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კულტურისა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან ედიბერიძემ, განმარტა, რომ სკოლაში სამოქალაქო განათლების სწავლებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. მისივე განმარტებით, დაწესებულება მონაწილეობდა მკვლევართა კლუბის მიერ ორგანიზებულ არაერთ ღონისძიებაში. მან აღნიშნა, რომ სკოლას ჩატარებული ჰქონდა ღონისძიებები მდგრადი განვითარების მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რაში გამოიხატებოდა დაწესებულების თანამშრომლობა ლიეტუვის სკოლასთან. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან ედიბერიძემ განმარტა, რომ დაწესებულებას ლიეტუვას ქალაქ ტაურაგეში არსებულ სკოლა-ვერსმეს გიმნაზიასთან ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, ისინი ახორციელებდნენ ისეთ ერთობლივ პროექტებს, როგორებიც იყო, მაგალითად, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პროექტები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ SWOT ანალიზში ფიქსირდებოდა შეუსაბამობა და ანალიზი მოითხოვდა დაზუსტებას. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ სკოლის მიერ შემუშავებულ SWOT ანალიზზე დაყრდნობით, სკოლა თავის სუსტ მხარედ მიიჩნევდა შემაჯამებელი დავალებების კომპლექსური დავალებებით ჩანაცვლებას, ძლიერ მხარედ კი მიიჩნევდა იმ ადამიანურ რესურსს, რომელიც ჩართული იყო ახალი სკოლის მოდელში და ინტენსიურად იღებდა მონაწილეობას ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, ზემოთქმულის გათვალისწინებით, თუ რატომ მიიჩნეოდა დაწესებულების სუსტ მხარედ შემაჯამებელი დავალებების კომპლექსური დავალებებით ჩანაცვლება. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, ქეთევან ედიბერიძემ განმარტა, რომ სკოლა მიმდინარე სასწავლო წელს ჩაერთო ახალი სკოლის მოდელში. ასევე, მიმდინარე წელს დაიწყო სკოლამ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესი, რაც, მისი თქმით, ჯერ არ იყო სრულყოფილი და საჭიროებდა ეტაპობრივ განვითარებას. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ასევე, მიმართა კითხვით სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რატომ მიიჩნევდა დაწესებულება SWOT ანალიზზე დაყრდნობით, ძლიერ მხარედ სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას, მაშინ, როდესაც სკოლა პრობლემად მიიჩნევდა დაწესებულების პროექტორებითა და თანამედროვე სპორტული დარბაზით აღჭურვას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ნანა მონიავამ განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სკოლის წარმომადგენლებთან ვიზიტის პერიოდში მოხდა. მისივე თქმით, სკოლა მოტივირებული იყო მიეღო რეკომენდაციები და გამოეწორებინა არსებული უზუსტობები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან საბჭოს წევრებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეედლოთ 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სპს თავამე და კომპანია სკოლა ანაბასის (ს/კ: 230039115) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია. კერძოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესის ამსახველი დოკუმენტი მიღებისთანავე წარმოედგინა ცენტრში.

2. შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნოდარ ანგურიძემ და ელენე კალანდაძემ. ექსპერტმა, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ სკოლა მდებარეობდა ქალაქ ზესტაფონში. მისი თქმით, სკოლის საუკეთესო პრაქტიკა იყო ინტენსიური ურთიერთობები ევროპის რამდენიმე ქალაქის სკოლასთან. კერძოდ, პოლონეთის ქალაქ პოზნანის სკოლასთან, სლოვაკეთის ქალაქ ტრენჩინის სკოლასთან, უკრაინის ქალაქ კაზატინის სკოლასთან, ლატვიის ქალაქ დაუგავპილის სკოლასთან და მოლდოვას ქალაქ ბელცის სკოლასთან. მათთან თანამშრომლობით ტარდებოდა კონფერენციები და კონკურსები მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დისტანციური სწავლების დროს სკოლის ინიციატივით განხორციელდა პროგრამა „განათლება საზღვრებს გარეშე“, რომელშიც დისტანციურ ფორმატში ჩაერთვნენ ევროპის 5 ქვეყნის სკოლის მოსწავლეები. ექსპერტის განმარტებით, სკოლებს შორის ბოლო აქტივობა ჩატარდა ლატვიაში, ქალაქ დაუგავპილში, კონფერენცია, რომელშიც სკოლის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მიიღო მონაწილეობა.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები არ ჰქონდა შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ვიზიტის პერიოდში სკოლამ გააგზავნა წერილი შესათანხმებლად. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ სკოლას მიეცა

რეკომენდაცია ცეცხლმაქრების რაოდენობა შესაბამისობაში ყოფილიყო საევაკუაციო გეგმის მოთხოვნებთან. ექსპერტის თქმით, სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ცენტრში წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას თან დაურთო ორი ცეცხლმაქრის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტის განმარტებით, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე სრულად ვერ ხდებოდა ვიდეომეთვალყურეობა. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში შეიძინა 8 ვიდეო კამერა შესაბამისი ჩამწერი მოწყობილობით. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ შინაგანაწესის გარკვეულ მუხლებში ფიქსირდებოდა უზუსტობები. მისი თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და წარმოადგინა კანონთან შესაბამისი ახალი შინაგანაწესი. ნოდარ ანგურიძის განცხადებით, სკოლას მიეცა რჩევა სკოლის საათობრივი ბაღე შესაბამისობაში მოსულიყო ეროვნული სასწავლო გეგმის 23-ე მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის მიხედვითაც სასკოლო საათობრივი ბაღე განსაზღვრავდა საგნის/საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას და მოიცავდა თითოეული კლასის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგს. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული აზუსტებდა, თუ კვირის რომელ დღეს, რა თანმიმდევრობით და დროის რა მონაკვეთში რომელი საგანი ისწავლებოდა. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა, ვიზიტის მიმდინარეობისას, მოიწვია პედსაბჭო, ცვლილება შეიტანა სასკოლო სასწავლო გეგმაში და მატერიალური სახით წარმოადგინა განახლებული საათობრივი ბაღე. ექსპერტის განცხადებით, სკოლის შეფასების სისტემა ითვალისწინებდა ეროვნული სასწავლო გეგმის შეფასების სისტემის ძირითად პრინციპებს. მისი თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმაში იყო განმავითარებელი შეფასების ზოგადი სქემა, რომლის მიხედვითაც გამოიყენებოდა განმავითარებელი შეფასების ორი სახე. ესენი იყო მიმდინარე (მომწონს, უკეთესია, სწრაფად იაზროვნე და სხვა ამგვარი) და 4 ტიპის კომენტირებული, რომელიც 4 ტიპის სტანდარტული კომენტარისგან შედგებოდა: როცა მოსწავლე ყველა საგანში წარმატებულია; როცა მოსწავლე საპროგრამო მასალას ითვისებს კარგად; როცა მოსწავლეს გარკვეული ხარვეზები აქვს საპროგრამო მასალის ათვისებაში; როცა მოსწავლე ვერ ძლევს საპროგრამო მასალას და არღვევს ქცევის ნორმებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტებისგან გაიცა რჩევა, რომ განმავითარებელი შეფასება ყოფილიყო მოსწავლის სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული. ნოდარ ანგურიძემ იქვე დაამატა, რომ სკოლამ ვიზიტის მიმდინარეობისას ასევე მოიწვია პედსაბჭო, ამ რეგულაციის სასკოლო სასწავლო გეგმიდან ამოღების მიზნით. თუმცა, ექსპერტის თქმით, პედსაბჭოს ოქმში დაფიქსირებული იყო მხოლოდ მიმდინარე განმავითარებელი შეფასების ამოღება, ხოლო ე.წ. კომენტარის ამოღება არ იყო დღის წესრიგში მითითებული.

ექსპერტ, ნოდარ ანგურიძეს თქმით, სკოლა ფუნქციონირებდა 3 სართულიან შენობაში. სკოლის შენობის მესაკუთრე იყო სს „გრაცია“. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტებიდან, რომლებშიც ქირავნობის ხელშეკრულებაც იყო წარმოდგენილი, ექსპერტის თქმით, ირკვეოდა, რომ სკოლა არსებობის ვადით ქირაობდა შენობას, რომლის ფართი 1300 კვ.მ. იყო, ხოლო მიწის ნაკვეთი 2752,34 კვ.მ. მასზე არსებული სპორტული მოედნით. რეალურად კი საჯარო რეესტრის ამონაწერიდან, ირკვეოდა, რომ აღნიშნული შენობის ფართი იყო 1179,1 კვ.მ., ამასთან, საჯარო რეესტრის ჩანაწერის მიხედვით ქირავნობა გაფორმებული იყო მხოლოდ მიწის ნაკვეთზე (2752,34 კვ.მ-ის) და სპორტულ მოედანზე. ნოდარ ანგურიძემ დაამატა, რომ შენობის ქირავნობა არ ჩანდა. ამონაწერში ჩანდა შენობით სარგებლობა, ამ სარგებლობის საფუძვლად კი მითითებული იყო ხელშეკრულება, რომელიც 2006 წლის 5 იანვრით იყო დათარიღებული, მაგრამ, ექსპერტის თქმით, ამ ჩანაწერში სს გრაციას და ორნატს ერთიდაიგივე საიდენტიფიკაციო ნომერი ჰქონდათ მითითებული. გარდა ამისა, აღსანიშნავი იყო ის გარემოებაც, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში მითითებული იყო 316 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის უფლება, რაც არ იყო დაფიქსირებული წარმოდგენილ ქირავნობის ხელშეკრულებაში. ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ყოველივე ამას ემატებოდა ის ფაქტიც, რომ სკოლის შენობის პირველი სართულის მცირე ნაწილში ფუნქციონირებდა სტომატოლოგიური კაბინეტი და სკოლის ფართობიდან მისი გამიჯვნა იყო დასაფიქსირებელი. ყოველივე

აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტის თქმით, სკოლას მიეცა რჩევა, რომ ჩაესწორებინა და ცვლილებები შეეტანა ქირავნობის ხელშეკრულებასა და საჯარო რეესტრის ამონაწერში. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის ცენტრში გამოგზავნის დროს წარმოადგინა ქირავნობის ხელშეკრულების განახლებული ვარიანტი, რომელშიც ჩასწორებული იყო აღნიშნული შეუსაბამობა. აქვე, ნოდარ ანგურიძემ დაამატა, რომ ქირავნობა საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ იყო, თუმცა შესაბამისი განაცხადი გაკეთებული იყო 2022 წლის 8 ივლისს.

ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში არ ჩანდა სტრატეგიული მიზნები. ექსპერტმა მხრიდან, სკოლას მიეცა რჩევა სტრატეგიული გეგმის შემუშავებასა და საჭიროებების შემთხვევაში ცვლილების შეტანაზე, წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით. ექსპერტის თქმით, სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს აუცილებელი იყო სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით. ექსპერტმა დაამატა, რომ ინტერვიუებისას სკოლის წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა თანამშრომელთა პროფესიული განვითარების შესახებ არსებული რაიმე სახის დოკუმენტი. რის გამოც, ნოდარ ანგურიძის განმარტებით, სკოლას მიეცა რჩევა იზრუნოს სკოლის ყველა თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ დაზუსტების მიზნით, მიმართა ექსპერტებს, თუ ჰქონდათ სკოლასა და სტომატოლოგიურ კაბინეტს საერთო სარგებლობის სივრცე. ნოდარ ანგურიძის განმარტებით, სკოლასა და სტომატოლოგიურ კაბინეტს სხვადასხვა შესასვლელი ჰქონდა და სკოლის მოსწავლე ვერ მოხვდებოდა სასკოლო სივრციდან სტომატოლოგიურ კაბინეტში. ექსპერტმა დაამატა, რომ სტომატოლოგიური კაბინეტი არ იყო გამიჯნული და სკოლის შენობის ფართში შედიოდა.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა ექსპერტს, თუ რამდენად გაითვალისწინა სკოლამ მეორე უცხო ენის არჩევისას მოსწავლეთა და მშობელთა აზრი. ნოდარ ანგურიძის განმარტებით, მეორე უცხოური ენა სკოლაში ისწავლებოდა მე-3 კლასიდან მე-9 კლასის ჩათვლით, ხოლო 10-12 კლასებში გერმანული ენა. ექსპერტის თქმით, სკოლას განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით მეორე უცხოური ენის სწავლებას მოსწავლე უნდა მიეყვანა ფლობის A2.3 დონემდე (მოსმენა და კითხვის მიმართულებით) და A2.2 დონემდე (წერა და ლაპარაკის მიმართულებით), ამიტომ ენის შეცვლა ვერ უზრუნველყოფდა ამ დონის მიღწევას. სკოლამ, ვიზიტის პერიოდში, გაითვალისწინა და პედაგოგის გადაწყვეტილებით მომავალი სასწავლო წლიდან მოსწავლეებს შესთავაზებდა მეორე უცხოური ენის - რუსული ენის მე-12 კლასამდე სწავლას. აქვე, ნოდარ ანგურიძემ დაამატა, რომ მშობლების მოთხოვნის საფუძველზე აირჩია რუსული ენა.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა იყო მიზანი განმავითარებელი შეფასების შაბლონების შექმნისა და რატომ ფიქრობდნენ, რომ ეს იყო კარგი გზა მოსწავლეების განვითარების შესაძლებლობებისთვის. სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, განმავითარებელი შეფასების არსებობის მიზანი მოსწავლის მოტივაციის ზრდა იყო, რომლის მეშვეობითაც მასწავლებელი ადგენდა მოსწავლის საჭიროებებს და შემდეგ კონკრეტული მიმართულებით იწყებდა მუშაობას.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესთან დაკავშირებით, ღიად ქვეყნდებოდა თუ არა სკოლაში განცხადების შემომტანის სახელი და გვარი. სკოლის წარმომადგენლის, სოფიო კვინიკაძის განმარტებით, სკოლის ვებ-გვერდზე არ იტვირთებოდა პერსონალური მონაცემები.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის დირექტორს, თუ რატომ არ იყო განთავსებული სკოლის მისია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის წარმომადგენლის, სოფიო კვინიკაძის თქმით, ვებ-გვერდზე მისიისთვის არ იყო გამოყოფილი სივრცე, თუმცა სკოლის მისია წარმოადგენდა სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს. საბჭოს წევრის, თამარ

მამსიკაშვილის თქმით, ვებ-გვერდი ხშირად უნდა განახლებულიყო, რადგან სკოლას ჰქონდა ძველი დოკუმენტაცია ატვირთული.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში იყო. 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებს შედგენილი ჰქონდათ საგნობრივი კურიკულუმები და სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა კომპლექსური დავალებებით. მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის წევრებიც ესწრებოდნენ საგაკვეთილო პროცესს, კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპებს, ხოლო შემდეგ აკეთებდნენ რეფლექსიას და ერთმანეთს უზიარებდნენ გამოცდილებას. საბჭოს წევრის, ქეთევან ნატროშვილის თქმით, სკოლას დიდი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. აქვე, მან დაამატა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ სკოლა შესაბამის განმავითარებელ შეფასებებს გამოიყენებდა კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ როდიდან შეიცვალა განმავითარებელი შეფასების შაბლონები.

დაწესებულების ხარისხის მენეჯერის განმარტებით, განმავითარებელი შეფასების შაბლონები შეიცვალა ექსპერტთა რეკომენდაციის მიღების შემდეგ, ვიზიტის პერიოდში. აქვე, მან დაამატა, რომ ახალი სასწავლო წლიდან დაიწყო დაგეგმვა შეცვლილი განმავითარებელი შეფასებები.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, თუ როგორ მუშაობდა სკოლაში ახალი სკოლის მოდელი. ხარისხის მენეჯერის თქმით, ახალი სკოლის მოდელის განხორციელებისთვის დაწესებულებას ტექნიკური საშუალებები ჰქონდა. მან აღნიშნა, რომ 2021-2022 სასწავლო წლის დასაწყისში შეხვდა მასწავლებლებს და გააცნო მატრიცის სტრუქტურა. პედაგოგებმა მთელი წლის განმავლობაში წარმოადგინეს 2 კომპლექსური დავალება. აქვე, მან დაამატა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელება იყო ნებაყოფლობითი პროცესი.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა კითხვით მიმართა სკოლის ხარისხის მენეჯერს, თუ როდის გააფორმა დაწესებულებამ ხელშეკრულება მასთან, როგორც ხარისხის მენეჯერთან.

დაწესებულების ხარისხის მენეჯერის, მინდია მაცაბერიძის, თქმით, სკოლამ მასთან ხელშეკრულება გააფორმა 2021 წლის სექტემბერში 1 წლით, თუმცა როგორც პედაგოგი, ის სკოლასთან თანამშრომლობდა 2019 წლიდან.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ, აღნიშნა, რომ მისიაში არ ჩანდა სკოლის კავშირი საერთაშორისო მიმართულებით, კერძოდ კი ევროპის ქვეყნებთან არსებული თანამშრომლობა. სკოლის წარმომადგენლის, სოფიო კვინიკაძის, თქმით, შპს ქართულ-ევროპულ სკოლა ორნატს ხუთივე სახელმწიფოს სკოლასთან ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება. მისივე განმარტებით, 2017 წლიდან ერთობლივად სხვადასხვა პროექტს ახორციელებდნენ. სოფიო კვინიკაძის თქმით, ერთობლივად განხორციელებული ბოლო პროექტი ჩატარდა ლატვიაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა.

საბჭოს სხდომაზე 16:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 200 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ქართულ-ევროპულ სკოლა ორნატს (ს/კ: 230068066) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, სკოლის საავტორიზაციო შეფასების პროცესში გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით, მიმდინარე წლის ბოლომდე განხორციელებულიყო დაწესებულებაში მონიტორინგის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მოქმედი სამივე სტანდარტის მიხედვით.

საბჭოს წევრებმა, ზვიად გოგუაძემ, მანანა ჯინჭარაძემ და ეკატერინე კვირიკაშვილმა მხარი არ დაუჭირეს შპს ქართულ-ევროპული სკოლა ორნატის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს. საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ განმარტა, რომ დეტალურად გაეცნო დოკუმენტაციას, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების უკუკავშირს, ასევე მისი პოზიცია ემყარებოდა ზეპირ განხილვაზე მხარეების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს. ხოლო, არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, მისი თქმით, დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან შეუსაბამობაში იყო.

საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა და მანანა ჯინჭარაძემ გაიზიარეს საბჭოს წევრის, ზვიად გოგუაძის მოსაზრება და გამოთქვეს სურვილი, რომ მონიტორინგის პროცესამდე დაწესებულებას გამოესწორებინა ავტორიზაციის პროცესში დაფიქსირებულ დარღვევებს.

3. შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ განაცხადა, რომ შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციის საკითხის განხილვასთან მიმართ ჰქონდა თვითაცილება, რადგან მას შრომითი ურთიერთობა აკავშირებდა დაწესებულებასთან.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა

დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტების დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლიანა კობესაშვილმა და მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა თვითმართველობა. ექსპერტებმა ინტერვიუს დროს მოსწავლეებისგან მოისმინეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო სკოლაში თვითმართველობის ფუნქციონირება. ექსპერტის თქმით, სკოლას საავტორიზაციო განაცხადი შემოტანილი ჰქონდა 410 მოსწავლეზე. თუმცა, საავტორიზაციო ვიზიტის დროს ექსპერტთა მხრიდან დაწესებულების შემოწმების დროს დადგინდა, რომ სკოლის სკამებისა და მერხების რაოდენობა შეადგენდა 380-ს. შესაბამისად, დაწესებულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა შეეძლო 380 მოსწავლისთვის. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ირიცხებოდა 236 მოსწავლე. ლიანა კობესაშვილის განცხადებით, სკოლას ჰქონდა პროგრამები, რომლებსაც სავალდებულო საგნების სახით სთავაზობდა მოსწავლეებს. აღნიშნული პროგრამები ემსახურებოდა მოსწავლეთა თვალსაწიერის გაზრდას. ექსპერტის თქმით, დაწესებულება იყენებდა მესამე მოდელის საათობრივ ბადეს, რომელიც დაწესებულებას შეთანხმებული ჰქონდა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის განმარტებით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა უცხო ენების ფართო არჩევანს, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ესპანურ ენებს.

სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილში ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ საათობრივ ბადეში დაწესებულებას გაეთვალისწინებინა საგნების საათების წლიური ჯამური რაოდენობა, რაც, ექსპერტის თქმით, სკოლამ გაითვალისწინა.

საგნობრივ კათედრებთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლებს შორის იყო თანამშრომლობითი კულტურა. ისინი უზიარებდნენ ერთმანეთს გამოცდილებას. ლიანა კობესაშვილმა თქვა, რომ სემესტრის ბოლოს ისინი განიხილავდნენ მოსწავლეთა შედეგებს და ახდენდნენ თემატური გეგმების მოდიფიცირებას, რაც გულისხმობდა თემების მიხედვით საათების გადანაწილებას, რესურსების განვითარებასა და სტრატეგიების ცვლილებას. ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის განცხადებით, კათედრების ძირითადი სამსჯელო თემა იყო ონლაინ და პირისპირ სწავლების მონაცვლეობით გამოწვეული სირთულეები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად მუშაობდა ონლაინ და ფიზიკურ გარემოში სწავლების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი ტიპის ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლას მშობლებთან ჰქონდა თანამშრომლობითი ურთიერთობა. დაწესებულებას გამოყოფილი ჰქონდა ფსიქოლოგის დღე, რომელიც მუშაობდა პირველი კლასის მოსწავლეების მშობლებთან და ის, საჭიროების შემთხვევაში, თუ მოსწავლეს ჰქონდა რაიმე სახის დაბრკოლება სწავლის პროცესში, მშობლებს უწევდა კონსულტაციას. ექსპერტის განმარტებით, ფსიქოლოგი ასევე ახდენდა სხვადასხვა სახის წარმოქმნილი პრობლემების პრევენციას.

ექსპერტ, ლიანა კობესაშვილის თქმით, სკოლას ჰქონდა საკუთარი შენობა და დაწესებულების ინფრასტრუქტურა იყო მოწესრიგებული. ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰქონდა საევაკუაციო გასასვლელები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა საევაკუაციო გასასვლელი და სკოლის შესასვლელი კონტროლდებოდა ვიდეოკამერებით. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას უსაფრთხოების დაცვის წესი და პირობები, შეთანხმებული ჰქონდა განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტ მარინე ჯანაშვილის განცხადებით, სკოლას ჰყავდა 37 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. მისი თქმით, კათედრების ხელმძღვანელებს ჰქონდათ დამატებითი ანაზღაურება, რაც ზრდიდა მათ მოტივაციას. დაწესებულებას ჰყავდა 54 მასწავლებელი, მათგან 8 იყო მოწვეული მასწავლებელი, 31 უფროსი სტატუსის მქონე, 4 წამყვანი, 11 კი უსტატუსო მასწავლებელი. ექსპერტის განმარტებით, 11 უსტატუსო მასწავლებელს ჰქონდა

კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება 2 წლიანი ვადით და დარეგისტრირებული იყვნენ გამოცდაზე სტატუსის მოსაპოვებლად. მარინე ჯანაშვილის განმარტებით, დაწესებულებას მოწესრიგებული ჰქონდა ყველა ხელშეკრულება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა ადამიანური რესურსის განვითარების დებულებაც. ექსპერტების თქმით, ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მშობლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში იყო კეთილგანწყობილი გარემო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 380 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 380 - ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 24 აგვისტოს N63 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 24 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 24 აგვისტოს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნეს (ს/კ: 204418825) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 380-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 24 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

4. შპს NK-სავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ,

რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თამარ მიდელაშვილმა და თეონა ყაჭიშვილმა. ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 17 და 18 მაისს. თამარ მიდელაშვილის განცხადებით, სკოლა მდებარეობდა ქ. თბილისში, ვერის პარკში. მისი თქმით, სკოლას იჯარის ხელშეკრულებით აღებული ჰქონდა 1327,92 კვ.მ. ფართის შენობა ხუთი მესაკუთრისგან 2030 წლამდე. ექსპერტის განცხადებით, სკოლას დიდი ხნის ისტორია და გამოცდილება ჰქონდა, თუმცა ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო ბოლო პერიოდში აღინიშნებოდა სკოლიდან მოსწავლეთა გადინება, რამაც უარყოფითი შედეგი იქონია სკოლის განვითარებაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გამოვლინდა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობა, დაფიქსირდა ხარვეზები და ექსპერტთა მხრიდან გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.

ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა დებულება, წესდება, სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას ხელმძღვანელობდა დირექტორი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დებულების მიხედვით გაწერილი იყო სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები. თამარ მიდელაშვილის თქმით, საავტორიზაციო ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული იყო შპს NK -ს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ 2021 წლის 05 სექტემბერს. ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საათობრივ ბადესთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში ისწავლებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ძირითადი საგანი. აქვე, მან დაამატა, რომ მე-2 კლასიდან მეორე უცხოურ ენად ისწავლებოდა რუსული ენა და გაზრდილი იყო ინგლისური ენის საათების რაოდენობა გარკვეულ კლასებში. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურებიდან კი ფაკულტატურული სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა მე-V-VIII კლასებში იტალიურ და გერმანულ ენებს. ხოლო, მე-IX-XI კლასებში შეთავაზებული იყო ძველი და თანამედროვე სამყარო ინგლისურ ლიტერატურაში და ტექსტის გააზრებისა და წერის საფუძვლები. თამარ მიდელაშვილის თქმით, სკოლას საშუალო საფეხურის მოსწავლეების ინტერესების გათვალისწინებით, შერჩეული ჰქონდა მე-X-მე-XI კლასებში მე-XIX-XX საუკუნეების ლიტერატურა, ხოლო მე-XII კლასში-მითოლოგია. ექსპერტის განმარტებით, სკოლამ წარმოადგინა თითოეული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებისთვის ამ მომსახურების განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმები.

ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმის დანართს წარმოადგენდა საათობრივი ბადე, ინდივიდუალური გეგმის ფორმა, გრიფინიჭებული სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი, მოსწავლის შეფასების პრინციპები, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობების, ჩატარებისა და აღდგენის წესი, ანალიზის ფორმები, სადამრიგებლო გეგმები პრიორიტეტული თემებით, მიზნებით და ჩატარების ვადებით. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლის მიერ ხდებოდა ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხების (სსგ-ის, შეფასების პრინციპების, შინაგანაწესის, აქტივობების, კალენდრის და სხვა) მოსწავლეებისათვის წინასწარ გაცნობა. ექსპერტის აღწერით, სკოლაში ფუნქციონირებდა 13 ფინანსური კლასი. ყველა კლასს ჰყავდა დამრიგებელი, რომელთა მუშაობა რეგულირდებოდა დამრიგებლის დებულებით და სასკოლო სასწავლო გეგმით. აქვე, მან დაამატა, რომ სკოლის მისიისა და მოსწავლეთა ინტერესების

გათვალისწინებით შემუშავებული იყო სადამრიგებლო გეგმები შემდეგ თემებზე: პიროვნება, იდენტობა, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს გაცნობა, კონფლიქტის მოგვარების გზები, არა ბულინგს და სხვა.

ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, სკოლის შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე გამოიყენებოდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება. დაწყებით საფეხურზე კი (პირველ-მეოთხე კლასსა და მეხუთე კლასის პირველ სემესტრში) განმავითარებელი შეფასება. თამარ მიდელაშვილის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმით ასევე განსაზღვრული იყო სემესტრული, ექსტერნი და საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ საგანში განსაზღვრული იყო შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა, გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენის ვადები და ჩატარების წესი. ექსპერტის განცხადებით, წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები საშუალებას აძლევდა მასწავლებელს დეტალურად გაეანალიზებინა მოსწავლეთა მიღწევები. აქვე, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ კლასის დამრიგებლები თითოეული მოსწავლის აკადემიურ მიღწევას მშობელს აცნობდნენ ინდივიდუალურად, ელექტრონულ ფორმატში და/ან ტელეფონით. მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ხდებოდა ელექტრონული ჟურნალის საშუალებითაც. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ მშობელი უზრუნველყოფილი იყო სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით. სემესტრში რამდენჯერმე როგორც დისტანციურ რეჟიმში, ასევე, რეგულაციების სრული დაცვით, სასკოლო სივრცეში ტარდებოდა მშობელთა კრებები. ექსპერტმა დაამატა, რომ მათთან ინტერვიუებისას მშობლები აღნიშნავდნენ მათ აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, სკოლას ვიზიტის პერიოდში ჰყავდა ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ხოლო დირექტორის 2021 წლის 29 სექტემბრის N01/192 ბრძანებით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით დამტკიცებული იყო აღნიშნული სსსმ მოსწავლისთვის ისე გუნდი, რომლის კოორდინატორიც იყო სსსმ მოსწავლის კლასის დამრიგებელი, ხოლო წევრები იყვნენ საგნის მასწავლებლები, სსსმ მოსწავლის მშობელი და სკოლის ფსიქოლოგი. ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ, სსსმ მოსწავლისათვის შედგენილი იყო შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

თამარ მიდელაშვილის თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა ხუთი კათედრა. კერძოდ, სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, უცხო ენების კათედრა, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა და დაწყებითი კლასების კათედრა. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნულ კათედრებში გაერთიანებული იყო საგნობრივი ჯგუფის ყველა მასწავლებელი. აქვე, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლაში დაწყებული იყო მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესი. მისი თქმით, სკოლის მასალებში ექსპერტებმა შეისწავლეს თემატური გეგმები და მატრიცები და კომპლექსური დავალებების ნიმუშები.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების, განხორციელებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, ხარისხის მართვის მექანიზმები, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობდა სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის შეფასება და სწავლების ხარისხის ანალიზი. გარდა ამისა, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლაში ტარდებოდა მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა, გაკვეთილების შეფასება და ანალიზი. შუალედური მონიტორინგისა და დაკვირვების საფუძველზე კი იკვეთებოდა დადებითი და უარყოფითი ტენდენციები, საჭიროებები და დგინდებოდა პრობლემის მოგვარების გზები. თამარ მიდელაშვილის თქმით, პირველი სემესტრისა და სასწავლო წლის ბოლოს, შემოწმების შედეგების, ანგარიშებისა და ანალიზების საფუძველზე იქმნებოდა SWOT ანალიზი. ექსპერტმა ვიზიტის დროს, სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის განკუთვნილი კითხვარები, გაკვეთილზე

დაკვირვების რუბრიკები, ხარისხის მართვის მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 123 მოსწავლე, ხოლო სკოლას ჰყავდა 39 თანამშრომელი, რომელთაგან 23 იყო მასწავლებელი. ექსპერტმა განმარტა, რომ მამიებელი მასწავლებელი იყო 4 (მათგან, ერთ მასწავლებელს მინიჭებული ჰქონდა მამიებლის სტატუსი და დასაქმებული იყო 9 საათიანი დატვირთვით). ერთი პედაგოგი სტატუსის ვადის გასვლის გამო 9 საათის დატვირთვით გადასული იყო მოწვეული მასწავლებლის სტატუსში, რაზეც, ექსპერტის თქმით, 2022 წლის 18 მაისს სკოლის მიერ შესაბამის უწყებაში გაგზავნილი იყო წერილი/შეტყობინება, ბაზაში კორექტირების მიზნით. სკოლას წამყვანი მასწავლებლის სტატუსი მქონე ჰყავდა 3, ხოლო უფროსი მასწავლებლის სტატუსი ჰქონდა 13 მასწავლებელს. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები შესაბამისობაში იყო შრომის კოდექსთან და მოქმედ კანონმდებლობასთან. აგრეთვე, ექსპერტის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ერთიანი პოლიტიკა.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა ისაუბრა დაწესებულების მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც. მან აღნიშნა, რომ სკოლაში 15 საკლასო ოთახი იყო. საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარით: ასაკის შესაბამისი ინდივიდუალური მერხებით (270 ცალი) და სკამებით (267), მასწავლებლის მაგიდით, სასკოლო დაფებით, მათ შორის, 2 თეთრი მაგნიტური დაფით და კარადებით. ექსპერტის თქმით, ყველა საკლასო ოთახს ჰქონდა ბუნებრივი განათება. მე-3 სართულზე მდებარეობდა 13 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი/ექიმის ოთახი და სველი წერტილები. მე-4 სართულზე კი განლაგებული იყო 2 საკლასო ოთახი, ინფორმატიკის კაბინეტი, საიზოლაციო ოთახი, საკონფერენციო ოთახი, სასადილო, ბიბლიოთეკა, სამკითხველო ოთახი, დირექტორის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახი და სველი წერტილები. ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლა NK-ს სპორტული დარბაზი (რომელიც იმავე შენობის მე-2 სართულზე იყო განთავსებული), იჯარით ჰქონდა აღებული კრივის ფედერაციისგან. მისი სრული ფართი იყო 355 კვ.მეტრი. დაწესებულება სპორტულ დარბაზს კონკრეტულ საათებში, კერძოდ, 9:00 საათიდან 12:00 საათამდე იყენებდა. თამარ მიდელაშვილის თქმით, სპორტულ დარბაზში სასწავლო პროცესის ორგანიზებისთვის სკოლას შედგენილი ჰქონდა სპორტული დარბაზით სარგებლობის განრიგი. სკოლას, ასევე, ჰქონდა სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპორტული ინვენტარი: კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის ბურთები, ფრენბურთის ბადე, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის პატარა ზომის ბურთები, ე.წ. „ფიშკები“, მაგიდის ჩოგბურთი. სპორტის მასწავლებლის განმარტებით, სპორტის გაკვეთილებს ხშირად მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ქალაქ თბილისის მერიის მიერ რეაბილიტირებულ სპორტულ ღია მოედანზეც ატარებდა. თუმცა, ექსპერტმა აქვე დაამატა, რომ დირექციამ აღნიშნული მოედნით სარგებლობის დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა. თამარ მიდელაშვილის განცხადებით, სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს მესამე საფეხურზე არჩეული ჰქონდა სპორტის 3 სახეობა: ფეხბურთი, ფრენბურთი და კალათბურთი. ექსპერტის თქმით, კრივის დარბაზში სპორტის ამ სახეობების სწავლება სირთულეს წარმოადგენდა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტისას, დირექტორის ბრძანების შესაბამისად, სკოლის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში შევიდა ცვლილება საშუალო საფეხურზე, სკოლის გარემოსა და მატერიალური ბაზის გათვალისწინებით შესასწავლი სპორტული სახეობების შერჩევაში ცვლილების შეტანის შესახებ. თამარ მიდელაშვილის განმარტებით, ბრძანების საფუძველზე, ფეხბურთი, ფრენბურთი და კალათბურთი ჩაანაცვლა მაგიდის ჩოგბურთმა, აერობიკამ და მძლეოსნობამ (აღმოსავლური ორთაბრძოლები).

ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობაში, მე-3 სართულზე სველი წერტილების გვერდით, პატარა საკუჭნაოში განლაგებული იყო ცენტრალური გათბობის 2 ქვაბი. ასევე, სპორტული

დარბაზის გასახდელში მდებარეობდა გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი საშხაპისთვის. ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ შენობას არ ჰქონდა სართულებიდან საევაკუაციო გასასვლელი (კიბე). ექსპერტის თქმით, აღნიშნული გარემოება საფრთხის შემცველი იყო პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოებისთვის. თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ სკოლამ ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინებით, პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიმართა „თბილისი ენერჯი“-ს, რომელმაც 2022 წლის 15 ივნისს მოახდინა ტექ. დათვალიერება, გაზგაყვანილობის შემოწმება და დაადგინა, რომ სკოლაში დამონტაჟებული დანადგარებიდან არ ფიქსირდებოდა გაჟონვა. რაც შეეხებოდა სპორტული დარბაზის გასახდელში დამონტაჟებულ გამაცხელებელს, ექსპერტის განმარტებით, სკოლამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით, წარმოადგინა დოკუმენტაცია სპორტული დარბაზის გასახდელში გაზზე მომუშავე წყლის გამაცხელებლის ელექტრო გამაცხელებლით შეცვლასთან დაკავშირებით. თამარ მიდელაშვილმა, აქვე დაამატა, რომ სკოლას შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ექსპერტ, თამარ მიდელაშვილის განმარტებით, სკოლას ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი ექიმის კაბინეტი, რომელიც სრულად პასუხობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის 41/ნ ბრძანების შესაბამის მოთხოვნებს.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობა არ იყო შემოდობილი. შენობა მდებარეობდა რეკრეაციულ ზონაში - ვერის პარკში. აღნიშნულ შენობას სხვა დაწესებულებებიც იყენებდნენ. შესაბამისად, სკოლა სარგებლობდა საერთო შესასვლელით. ასევე, მეორე სართულზე განლაგებულ სპორტდარბაზს სკოლა იყენებდა დილის საათებში, ხოლო შემდეგ ფუნქციონირებდა კრივის კლუბი. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ სკოლას ჰყავდა უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფდა სკოლაში გამოცხადებულ მოსწავლეთა შემოსვლა-გასვლასა და შენობაში უცხო პირის გადაადგილების კონტროლს.

თამარ მიდელაშვილის თქმით, დაწესებულების გარე პერიმეტრი, ეზო და შიდა შენობა კონტროლდებოდა ვიდეო მეთვალყურეობის კამერებით. სკოლაში სულ 9 უსაფრთხოების კამერა იყო, მათგან 7 ვიდეოთვალი შიდა პერიმეტრზე იყო დამონტაჟებული. სკოლის გარე პერიმეტრზე, ცენტრალურ შესასვლელში კი იყო 2 ვიდეოკამერა, რომელიც აკონტროლებდა მხოლოდ არსებული შენობის ცენტრალურ ნაწილს. თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული დაწესებულების გარე პერიმეტრის უკანა ნაწილი მეთვალყურეობის არეალში არ ხვდებოდა და დაწესებულებას გარე პერიმეტრის კონტროლისთვის ესაჭიროებოდა 2 ვიდეო კამერის დამატება. ექსპერტმა, აქვე დაამატა, რომ სკოლამ აღნიშნული საკითხი გაითვალისწინა და დაამატეს ორი ვიდეოკამერა შესაბამის ადგილას. ექსპერტის თქმით, ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდებოდა მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდებოდა დირექციის წარმომადგენელი.

ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა აღნიშნა სკოლის ბიბლიოთეკისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობა. კერძოდ, მისი თქმით, მოსწავლეებმა ბიბლიოთეკართან ერთად შექმნეს ელექტრონული კატალოგი. ექსპერტმა, ხაზი გაუსვა ფსიქოლოგის მუშაობას და აღნიშნა, რომ სასურველი იყო სკოლის ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა სასკოლო ცხოვრებასა და სსსმ მოსწავლესთან მუშაობის პროცესში. თეონა ყაჭეიშვილმა აქვე დაამატა, რომ სკოლის ვებ-გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში წარმოადგენდა საკომუნიკაციო საშუალებას და ხაზი გაუსვა სკოლაში არსებულ კეთილგანწყობილ გარემოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რაში გამოიხატებოდა უსაფრთხოების მიმართულებით დარღვევები, მას შემდეგ, რაც სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და დასახა გამოსწორების გზები.

ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნის გაცნობის შემდეგ სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის სახით წარმოადგინა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ მისამართზე სპეციალური სამსახურის მიერ შემოწმდა გაზგაყვანილობა და დანადგარები და ჟონვა არ ფიქსირდებოდა მრიცხველიდან. აქვე, ექსპერტმა დაამატა, რომ აღნიშნული მდგომარეობა სპეციალური სამსახურის მიერ დაფიქსირდა 15 ივნისისთვის, თუმცა ექსპერტები არ იყვნენ დარწმუნებული, რომ უსაფრთხოება დაცული იქნებოდა მთელი სასწავლო წლის მანძილზე. აქვე, ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა აღნიშნა, რომ რისკებს ზრდიდა რამდენიმე გარემოება. კერძოდ, სკოლას არ ჰქონდა საევაკუაციო გასასვლელი და შენობის პირველი და მეორე სართული იყო საერთო კრივის ფედერაციასთან.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის ან დებულების მიხედვით იხელმძღვანელებს ბუნებრივ აირთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ 1992 წლის ბრძანების მიხედვით, რომლის შესახებაც საქართველოს პრემიერ მინისტრის 2014-2016 წლების ბრძანებაში აღნიშნული იყო, რომ 1992 წლის ბრძანება არ ითვლებოდა ძალადაკარგულად, გაწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გაზგაყვანილობის დამონტაჟების წესი. აქვე, საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკრძალული იყო გაზის გამოყენება და შენობაში საქვაბეს არსებობა. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სკოლას ჰქონდა შესაბამისი რესურსი აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. ექსპერტმა, თეონა ყაჭეიშვილმა დაამატა, რომ სკოლას საგანგებო სამსახურის მხრიდან მიღებული ჰქონდა რეკომენდაციები, რომელთა ნაწილიც სკოლას შესრულებული ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ გამოთქვა მოსაზრება, რომ დასკვნები, რომლებიც სპეციალურმა სამსახურმა შეიმუშავა ეხებოდა მხოლოდ ბუნებრივი აირის ჟონვას და არ გამორიცხავდა საქვაბეების შენობაში არსებობის გამო შესაძლო საფრთხეს. აქვე, მან კითხვით მიმართა ექსპერტებსა და დაწესებულებას, თუ რამდენად იყო გამიჯნული სკოლის შესასვლელი და კრივის ფედერაციის შესასვლელი და წარმოადგენდა თუ არა აღნიშნული ერთ სივრცეს, სადაც მოსწავლეებს უწევდათ გადაადგილება. აღნიშნულ კითხვაზე ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ შესასვლელი სკოლას და კრივის ფედერაციას ჰქონდა საერთო, რომლითაც სარგებლობდნენ მოსწავლეები.

სკოლის წარმომადგენლის, ნუგზარ ყენიას განცხადებით, დაწესებულებამ აღნიშნულ შენობაში საგანმანათლებლო საქმიანობა დაიწყო 2006-2007 სასწავლო წელს. მან აღნიშნა, რომ სკოლა ადგილმდებარეობიდან გამომდინარე სხვადასხვა აქტივობას ახორციელებდა, მათ შორის სარგებლობდა შენობაში არსებული გიორგი კანდელაკის სახელობის კრივის დარბაზით. აქვე, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლა აღნიშნული ფედერაციის სპორტული დარბაზით სარგებლობდა 09:00 საათიდან 12:00 საათამდე გაწერილი ცხრილის მიხედვით, ხოლო 12:00 საათის შემდეგ ფედერაციაში იწყებოდა კრივის გაკვეთილები, რომლით სარგებლობაც ნებისმიერ მსურველს შეეძლო. სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ სკოლას ჰყავდა უსაფრთხოების მენეჯერი და დაცული იყო შენობის შესასვლელი, რომლითაც სარგებლობდნენ მოსწავლეები. აქვე, მან დაამატა, რომ ზემოთხსენებული საქვაბე მდებარეობდა შენობის იზოლირებულ ოთახში, რომელსაც ჰქონდა ბუნებრივი განიავეების შესაძლებლობა და დამონტაჟებული იყო კვამლდეტექტორი. სკოლის წარმომადგენელმა, ნუგზარ ყენიამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ დაწესებულებამ მიმართა სპეციალურ სამსახურს „თბილ ენერჯი“-ს, რომელიც უზრუნველყოფდა აღნიშნული ბუნებრივი აირის დანადგარების გატანას შენობის აივანზე, რომელიც ასევე სკოლის სარგებლობაში იყო. აქვე, სკოლის წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით დაწყებული იყო მუშაობა, რასაც სჭირდებოდა გარკვეული დრო.

საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ ჰქონდა სკოლას სტრატეგიულ გეგმაში დასახული ალტერნატიული შენობის მოძიება და/ან აშენება.

სკოლის წარმომადგენელმა, ნუგზარ ყენიამ განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით მუშაობდა სკოლა და გეგმავდა შენობის შეცვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ კითხვით მიმართა ექსპერტებსა და სკოლის წარმომადგენელს, თუ სარგებლობდნენ შენობით (შენობის პირველი და მეორე სართულით) უცხო პირები სასწავლო პროცესის დროს. ექსპერტმა, თამარ მიდელაშვილმა განმარტა, რომ 09:00 საათიდან 12:00 საათამდე კრივის ფედერაციის სპორტული დარბაზით სარგებლობდა მხოლოდ სკოლა, ხოლო 12:00 საათის შემდეგ ნებისმიერ მსურველი. აქვე, სკოლის წარმომადგენელმა, ნუგზარ ყენიამ დაამატა, რომ სკოლის შენობის პერიმეტრი სრულად კონტროლდებოდა ვიდეო კამერებით.

სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ საბჭოს წინაშე გამოთქვა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც სკოლა მოსწავლეთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა ფიზიკური დაცვის არსებობით. საბჭოს წევრმა, გიორგი გიგიბერიამ კითხვით მიმართა სკოლის იურისტს, თუ რა იგულისხმებოდა ფიზიკურ დაცვაში და როგორ უნდა მოეგვარებინა მას სკოლის უსაფრთხოების საკითხი. სკოლის იურისტმა, თათია ზარქუამ განმარტა, რომ დილის და საღამოს საათებში დაცვის თანამშრომლები გაუწევდნენ მეთვალყურეობას მოსწავლეთა ნაკადის გადაადგილებას სკოლის შენობაში. საბჭოს წევრებმა არ გაიზიარეს სკოლის იურისტის მოსაზრება იმ საკითხთან მიმართებით, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული პრობლემატური საკითხები სკოლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილი იქნებოდა ფიზიკური დაცვის არსებობით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 260 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს NK-ს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 260 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

წინააღმდეგი - 8

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს NK-ს (ს/კ: 200012743) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მაღაზონიამ განმარტა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება დაეფუძნა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებულ შეუსაბამობებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. კერძოდ, სკოლის მიერ შემოთავაზებული მექანიზმები ვერ უზრუნველყოფდა უსაფრთხო სკოლის კონცეფციის არსებობას.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა დამატებით განმარტა, რომ სკოლის ხედვაში არ იკითხებოდა უსაფრთხოების მიმართულებით რაიმე სახის ცვლილება და განვითარება. აღნიშნული შეფასება გაიზიარეს საბჭოს წევრებმაც.

საბჭოს სხდომა 18:30 საათზე დატოვა საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა.

5. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ვერა ყურულაშვილმა და ლია გრიგოლიამ. ექსპერტ ვერა ყურულაშვილის თქმით, დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 13,14 და 15 ივნისს. სკოლა მდებარეობდა ქ. სამტრედიის. ექსპერტის განმარტებით, შენობა იყო 2 სართულიანი, რომელსაც ჰქონდა ეზო და გამწვანება. სკოლამ წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, რომელსაც ექსპერტები გაეცნენ. ვერა ყურულაშვილის განცხადებით, სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლას ჰქონდა განსხვავებული მისია, რადგან იყო მართლმადიდებლური სკოლა, ყურადღება ექცეოდა სწორედ მართლმადიდებლურ სწავლებას. შესაბამისად, ეს ფაქტორი შეინიშნებოდა, როგორც მისიაში, ასევე, მის სასკოლო სასწავლო გეგმაში. ექსპერტის თქმით, სამუშაო კვირა იყო 5 დღიანი, თუმცა ყველა რელიგიური დღესასწაული სკოლაში აღინიშნებოდა და, გამომდინარე აქედან, აღნიშნული დღეები შემდგომ შაბათ დღეს ანაზღაურდებოდა, დირექტორის ბრძანების საფუძველზე. ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ ორშაბათ დილას ყველა კლასში ტარდებოდა წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის პარაკლისი და ამის შემდგომ იწყებოდა სასწავლო პროცესი. სკოლას ჰქონდა წარმოდგენილი საათობრივი ბადე, რომელშიც იყო ყველა სავალდებულო საგანი. აგრეთვე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მომსახურებასთან ერთად, წარმოდგენილი იყო საღვთისმეტყველო სწავლებისათვის დამატებით გაუთვალისწინებელი საგნები. ესენი იყო: საღვთო რჯული, რომელიც ისწავლებოდა მე-XI-XII კლასებში კვირაში 1 საათი, ხოლო მე-V-X კლასებში კვირაში - 2 საათი. ასევე, ძველი ქართული ენა მე-V-VI-VII კლასებში კვირაში - 1 საათი. ექსპერტის თქმით, განრიგი მითითებული იყო საათობრივ ბადეში და სავალდებულო იყო ყველა მოსწავლისათვის. ვერა ყურულაშვილის განმარტებით, ზოგიერთ საგანში იყოფოდა კლასები, მაგალითად ქართულსა და უცხოურ ენებში, მე-III-V-VI კლასები იყოფოდა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. სკოლას მისიიდან გამომდინარე ჰქონდა კლასგარეშე და დამატებითი მომსახურება, რაშიც იგულისხმებოდა ხალხური საკრავების წრე (ფანდური და სალამური) მე-II-X კლასების ჩათვლით, გალობა - მე-II-XII კლასებში, ქართული ხალხური ცეკვები I-VI კლასებში, სიწმინდეების გეოგრაფია მე-VII-XII კლასებში, ხატწერა მე-III-XII კლასებში,

ფიტოლაბორატორია მე-VII-X კლასებში, ხელგარჯილობა (კულინარია და ხელსაქმე) მე-V-VII კლასების ჩათვლით. სკოლაში ფუნქციონირებდა გახანგრძლივებულის ჯგუფი I-IV კლასის მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა განმარტა, რომ მოსწავლეები, რომლებიც გაკვეთილისთვის მოვიდოდნენ მოუმზადებელი სახლიდან, ამ საგნის მასწავლებელს, მშობელთან შეთანხმების საფუძველზე, უფლება ჰქონდა დაეტოვებინა გახანგრძლივებულ ჯგუფში ამ ჩამორჩენის ასანაზღაურებლად. ექსპერტის თქმით, სკოლაში ასევე ფუნქციონირებდა საგნობრივი სწავლების წრეები, მათემატიკის წრე მე-VI-XII კლასების ჩათვლით, ქიმიის წრე მე-VIII-XI კლასების მოსწავლეებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ყველა წრე იყო უფასო და მოსწავლეები ესწრებოდნენ სურვილისამებრ. რაც შეეხებოდა, გახანგრძლივებულ ჯგუფს, ისიც მოსწავლეებისთვის წარმოადგენდა უფასო მომსახურებას და პროცესი დავალების მომზადებაში დახმარებას გულისხმობდა.

ექსპერტ, ვერა ყურულაშვილის განცხადებით, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია დისტანციური სწავლების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დისტანციური გაკვეთილების ხანგრძლივობა I-IV კლასებში იყო 20 წუთი, ხოლო მე-V-XII კლასებში - 30 წუთი. ყველა საგანი დისტანციური სწავლების დროს იყო გათვალისწინებული. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ექსპერტებმა ნახეს გრიფირებული სახელმძღვანელოების ნუსხა და გაეცნენ საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპს. ექსპერტის განმარტებით სკოლაში ფუნქციონირებდა შემდეგი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხო ენების (ინგლისური და რუსული), ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, დაწყებითი სწავლების, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის და საღვთისმეტყველო სწავლების. ვერა ყურულაშვილის თქმით, წარმოდგენილი იყო მასწავლებლების პორტფოლიოები, კათედრების მუშაობის პორტფოლიოები და სასწავლო გეგმები. მასწავლებლების საქმიანობა სრულად შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ცდილობდა და გარკვეული ნაბიჯები გადადგმული ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში. ზოგიერთ საგანში შედგენილი იყო კომპლექსური დავალებები, შესაბამისი შეფასების რუბრიკებითა და ანალიზის ფორმებით.

ექსპერტ, ვერა ყურულაშვილის განმარტებით, მოსწავლეთა შეფასების სისტემა იყო გამჭვირვალე და ცნობილი სასკოლო საზოგადოებისთვის. აღნიშნული დასტურდებოდა მოსწავლეთა და მშობლებთან ინტერვიუების დროს. მოსწავლეებმა წინასწარ იცოდნენ, თუ რა კრიტერიუმებით ფასდებოდნენ შემაჯამებელ/კომპლექსურ დავალებებში. ექსპერტის თქმით, შეფასების რუბრიკები კათედრების მიხედვით იყო წარმოდგენილი, მშობლების ინფორმირების წესში კი იყო გათვალისწინებული შეფასების რუბრიკების გაცნობა.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ექსპერტთა მხრიდან გაიცა მხოლოდ მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. მისი თქმით, სკოლას საავტორიზაციო ვიზიტის დროს არ ჰყავდა ექიმი, ამ ფუნქციებს ასრულებდა საქმისმწარმოებელი, რომელსაც არ ჰქონდა სამედიცინო განათლება. ვიზიტის დროს სკოლამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე. ასევე, რეკომენდაცია გაიცა სამედიცინო ოთახის მოწყობასთან დაკავშირებით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 41/ნ ბრძანების მიხედვით. ვერა ყურულაშვილმა განმარტა, რომ ამ მიმართულებით სკოლაში ვიზიტის პერიოდშივე გადაიდგა ნაბიჯები. კერძოდ, პირველ სართულზე დაიწყეს კაბინეტის მომზადება.

ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა ისაუბრა დაწესებულების ადამიანურ რესურსთან დაკავშირებითაც და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებითაც გაიცა ექსპერტთა მხრიდან რეკომენდაცია. კერძოდ, მასწავლებლებთან ხელშეკრულების დადების დროს გაეთვალისწინებინა „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მე-3 და მე-4 მუხლები და გაეფორმებინა სტატუსის აღმნიშვნელი ხელშეკრულებები.

ექსპერტ ვერა ყურულაშვილის თქმით, სკოლა მუშაობდა არაფორმალური განათლების მიმართულებითაც. რაც გამოიხატებოდა ფიტოლაბორატორიის არსებობაში, სადაც ბავშვები სწავლობდნენ სამკურნალო მცენარეებს და მათი გამოყენების ხერხებს. სკოლის მისიიდან გამომდინარე, სკოლა შეისწავლიდა რაიონში არსებულ ყველა რელიგიურ ძეგლს. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს ღონისძიებაში „ნორჩი გიდი“, მოსწავლეებმა წარადგინეს ისტორიული ძეგლები საზოგადოების წინაშე.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს თავჯდომარეს, დავით მაღაზონიამ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რა მდგომარეობა იყო ექიმის ვაკანსიასთან დაკავშირებით და, ასევე, რა პოზიცია ჰქონდათ მშობლებს აღნიშნულთან დაკავშირებით. ექსპერტ ვერა ყურულაშვილის თქმით, მშობლებს ამასთან დაკავშირებით უკმაყოფილება არ გამოუთქვამთ. სკოლის წარმომადგენელმა, ეკა კოპალეიშვილმა განაცხადა, რომ ექიმის ფუნქციები შეთავსებული ჰქონდა საქმისმწარმოებელს, ხოლო ექსპერტთა რეკომენდაციის შედეგად გამოაცხადეს ვაკანსია. მან, ასევე აღნიშნა, რომ სკოლას მზადება დაწყებული ჰქონდა ექიმის კაბინეტის აღჭურვასთან დაკავშირებით და მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის აღმოიფხვრებოდა აღნიშნული ხარვეზი.

საბჭოს თავჯდომარე, დავით მაღაზონია, დაინტერესდა დამატებითი საგნების კურიკულუმებითა და შეფასების სისტემებით. ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა, განმარტა, რომ აღნიშნულ საგნებში მოსწავლეები არ ფასდებოდნენ განმსაზღვრელი შეფასებით და გამოიყენებოდა მხოლოდ განმავითარებელი შეფასება და ჩათვლის სისტემა. მან აქვე დაამატა, რომ აღნიშნული საგნები გაერთიანებული იყო ცალკე კათედრის სახით, რომელთაც წინასწარ ჰქონდათ შექმნილი სილაბუსები. სკოლის წარმომადგენლის თქმით, საპატრიარქოს განათლების ცენტრთან რეკომენდაციების საფუძველზე ჰქონდა სპეციალური სახელმძღვანელოები შექმნილი, რომლის მიხედვითაც განათლების ცენტრთან არსებული სკოლები ერთიანი სისტემით ხელმძღვანელობდნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკა კოპალეიშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლის სტრატეგია იყო ტოლერანტული გარემოს შექმნა არამართლმადიდებლური აღმსარებლობის მოსწავლეებისთვის. საბჭოს თავჯდომარე, დავით მაღაზონია, დაინტერესდა დისკრიმინაციის საშიშროება ხომ არ არსებობდა სკოლაში. ექსპერტ, ვერა ყურულაშვილის თქმით, მისიაში ნახსენები იყო, რომ სკოლამ უნდა აღზარდოს ტოლერანტი ადამიანი, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები ექნება. მან დაამატა, რომ ტოლერანტული მიდგომა იყო დამკვიდრებული სკოლაში სხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანის მიმართ. სკოლის წარმომადგენლის თქმით, სკოლისთვის მთავარი ღირებულებას სულიერად მდიდარი ადამიანის აღზრდა წარმოადგენდა.

მან აქვე აღნიშნა, რომ საღვთო რჯული არ იყო საგანი, რომელიც ასწავლიდა სხვა აღმსარებლობის მიმართ სიძულვილს. ეკა კოპალეიშვილმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მზაობა მიეღო განსხვავებული აღმსარებლობის მოსწავლეები. ექსპერტ ვერა ყურულაშვილის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით ჩანაწერი შინაგანაწესშიც არსებობდა.

სკოლის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების შედეგად, საბჭოს თავჯდომარემ, დავით მაღაზონიამ აღნიშნა, რომ არ რჩებოდა განცდა სკოლაში სეგრეგაციის საშიშროებასთან დაკავშირებით, თუმცა მან სკოლას ურჩია გამოეყო ტოლერანტობის თემა სკოლის მისიაში. სკოლის წარმომადგენლებმა მიიღეს რჩევა და გამოთქვეს მზაობა აღნიშნულთან დაკავშირებით.

საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ ჰქონდათ კითხვები ექსპერტებთან და სკოლის წარმომადგენლებთან. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ თხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 262 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 262 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლას (ს/კ: 238775857) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 262 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაციები. კერძოდ, 2022 წლის 1 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა 2022 წლის 21 მარტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერებისა და ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ერთობლივი 41/5 ბრძანებით განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება. ასევე, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია 2022 წლის 1 სექტემბრამდე ცენტრში წარმოედგინა ექიმის ოთახის, აღნიშნული ბრძანების მიხედვით, მოწყობის და აღჭურვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ფოტო მასალა.

6. შპს სასწავლო ცენტრ მერმისის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, თეა გაბელაიამ და ლია გრიგოლიამ. ექსპერტმა, თეა გაბელაიამ განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი შპს სასწავლო ცენტრ მერმისში განხორციელდა 2022 წლის 9 და 10 ივნისს. მისი განმარტებით, ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში შეამოწმეს დაწესებულების 2018 წლის მონიტორინგის დასკვნა, რომლის საფუძველზეც, სკოლას მიეცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდაციები. ექსპერტმა, თეა გაბელაიამ დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ სკოლის საუკეთესო პრაქტიკად დაასახელა მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილების სკოლაში უფასოდ სწავლება. ექსპერტის თქმით, სკოლა გამოთქვამდა მზაობას აღნიშნულ მოსწავლეებთან საჭიროების შემთხვევაში ჩაეტარებინა დამატებითი გაკვეთილებიც.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ, განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ამავე ექსპერტის განმარტებით, სკოლაში, ვიზიტის დროს, ირიცხებოდა 97 მოსწავლე, ხოლო საავტორიზაციო განაცხადი გაკეთებული ჰქონდა 200 მოსწავლეზე. თეა გაბელაიამ განმარტა, რომ ვიზუალური დათვალიერებისა და შესაბამისი შესყიდვის დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ დაწესებულება ფლობდა 191 მერხსა და სკამს. აქედან გამომდინარე, ექსპერტის თქმით, დაწესებულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა შეეძლო 191 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ, განმარტა, რომ სკოლა იყენებდა ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მესამე მოდელს, თუმცა ის არ ჰქონდა შეთანხმებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შედეგად, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ 2022-2023 აკადემიური წლისთვის საათობრივი ბადის მესამე მოდელი შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ, განაცხადა, რომ დაწესებულება ფლობდა შესაბამის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, განახლებული STEM ლაბორატორია, ორი საცურაო აუზი, რომელთა გამოყენებაც დიფერენცირებული იყო მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად. ექსპერტის განმარტებით, სკოლა სპორტის მიმართულებით, ატარებდა გაკვეთილებს ჭადრაკში, ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში. ექსპერტის თქმით, სკოლა, ასევე, ფლობდა სპორტულ დარბაზს, რომელსაც იყენებდა სააქტო დარბაზადაც. აღნიშნულ დარბაზში მიმდინარეობდა ცეკვის გაკვეთილები, რომელიც მოსწავლეებისათვის წრის სახით იყო შეთავაზებული.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ განმარტა, რომ დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია კიბის უჯრედებზე დაემაგრებინა ცეცხლმაქრები და ასევე, შიდა პერიმეტრის სრულად კონტროლის უზრუნველსაყოფად, დაემონტაჟებინა დამატებითი კამერები. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაციები გაითვალისწინა ვიზიტის პერიოდშივე. ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰყავდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექთანი, თუმცა არ ჰყავდა ექიმი, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, გამოეცხადებინათ ვაკანსია ექიმის აყვანის თაობაზე განათლების და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის 41/ნ ბრძანებით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდშივე გამოაცხადა ექიმის ვაკანსია. თეა გაბელაიას განმარტებით, დაწესებულებაში არსებული ექიმის კაბინეტი სტანდარტთან შესაბამისად იყო მოწყობილი.

ექსპერტ, თეა გაბელაიას განმარტებით, სკოლას არ ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე. თუმცა, სკოლა ფლობდა სსსმ მოსწავლის მიღებისა და სწავლების შესაბამის მატერიალურ და ადამიანურ რესურსს. ამავე ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას მასწავლებლებთან ჰქონდა დადებული შრომითი ხელშეკრულება, სადაც არ

ჰქონდა განსაზღვრული მასწავლებელთა სტატუსი. შედეგად, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებას ჩაესწორებინა შრომითი ხელშეკრულებები მასწავლებელთა სტატუსის მითითებით. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სკოლამ აღნიშნული რეკომენდაციაც ვიზიტის პერიოდში გაითვალისწინა და წარმოადგინა კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები.

ექსპერტმა, თეა გაბელაიამ აღნიშნა, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ შესაბამისად შემუშავებული იყო უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც ვიზიტის პერიოდში შესათანხმებლად გაგზავნილი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ექსპერტის თქმით, ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა გაგზავნილი წერილი შეთანხმებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან დაწესებულების წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 191 მოსწავლისათვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო ცენტრ მერმისის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 191-ით განსაზღვრის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 24 აგვისტოს N64 გადაწყვეტილებით სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 24 აგვისტოდან 6 წლის ვადით. აღნიშნულის შესაბამისად, სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 24 აგვისტოს.

საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:


„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს სასწავლო ცენტრ - მერმისს (ს/კ: 212702912) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 191-ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 24 აგვისტო. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია. კერძოდ, ცენტრში წარმოედგინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული უსაფრთხოებისა

და საზოგადოებრივი დაცვის წესი მიღებისთანავე. ამასთანავე, ეროვნული სასწავლო გეგმის საათობრივი ბადის მესამე მოდელის შეთანხმების დოკუმენტი მიღებისთანავე წარმოედგინა ცენტრში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 19:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

